ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 ორშაბათი, 25 დეკემბერი № 1338

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

გ. გამყრელიძის და **გ. კანდელაკის** საბენეფისოდ გლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

პირინჯის მზელი

ისტ. დრ. 5 მოქ. ვილდენბრუხისა, თარ. მეძმარიაშვილის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, გვარამაძე, მირიანოვი, ავალიანი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

ნ. ა მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10 - 2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი – თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 —12

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12 — 1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3 -- 4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილის-სა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$— 2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

გამოვიდა და ისყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საქართველოს ისტორია

აკადემიკოსის ბროსსესი, ფასი 70 კაპ. თარგმნილი ს. ღოღობერიძისა, გამოცემული ნ. ღოღობერიძის მიერ.

იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ. (5—2)

დღესასწაულების ღირსეული აღნიშვნა

ვულოცავთ-რა ჩვენს მკითხველებს დიდებულს დღესასწაულებს, მოვალეობად ვრაცხთ ვესაუბროთ დღეს მათ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ღირსეულად აღვნიშნოთ დიდი დღეები.

შორეულს ესტებს, ჩვენსავით პატარა და ღარიბ ერს, ერთი მშვენიერი ჩვეულება აქვთ. შობა-ახალ-წლის დღესასწაულებში ვიზიტი და პატიჟობა მოსპობილი აქვთ და რაც ამ უაზრო ჩვეულებაში იხარჯებოდა, გადადებული აქვთ აქა-იქ გაბნეულ მოსწავლე შვილებისათვის. ნუთუ ეს ჩვეულება მისაბაძი არ არის? ნუთუ შეიძლება სიამოვნებით ილხინოს და იქეიფოს შეგნებულმა და გულ-კეთილმა ადამიანმა მაშინ, როდესაც მისი ძმა, შვილი ან მეგობარი, იქნება მშიერ-მწყურვალეა ცივსა და შორეულს ქვეყანაში?!.

მაგრამ ჩვენ დღეს ვიზიტების შესახებ არ გვინდოდა საუბარი. დღეს ჩვენს საზოგადოებას უჩნდება მეტად საყურადღებო და უფრო დიდი საქმე, ვიდრე ვიზიტების დათმობა. ამ დღეებში ჩვენი გაზეთები კვლავ ალაპარაკდნენ სტუდენტების შესაწევად განსაკუთრებულ საზოგადოების დაარსების შესახებ. აი დიდი საქმე, რომლის მოწყობა ღირსეულად აღნიშნავს დღევანდელს დღესასწაულს! საჭიროა აუცილებლად ეხლა გათავდეს ეს კაი ხნის განზრახული პროექტი.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ჟამად იწყებს მოქმედებას კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება და აი გვიჩნდება საკითხი—დავკმაყოფილდეთ ამ საზოგადოებით, თუ დავიარსოთ ახალი? თუ ახალის დაარსება არ მოხერხდა, გვაქვს თუ არა დღეს ისეთი საზოგადოება, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აილოს ჩვენებურ სტუდენტების დახმარების საქმე? ეს კითხვები თვით ცხოვრებამ წამოაყენა და აღარ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ მათ.

ქვევით მკითხველი შეჰხვდება ქ-ნ დემურიას წერილს, რომელიც გვეუბნება, რომ საზოგადოებაში ინტერესია აღძრული ამ საქმისადმი, რომ საზოგადოება კარგა ხანია მოელის რაიმე ორგანიზაცია გაჩნდეს და მოწყეს-რიგდეს სტუდენტების დახმარების საქმე. ქართველ საზოგადოებას მძიმე ვალად აწევს კისერზე ამ განზრახვის განხორციელება და დროა მოვიშოროთ იგი თავიდან. ჩვენში, საბედნიეროდ, ბევრია ამ ჟამად უმაღლეს სასწავლებლებში ნამყოფი; მათ ბევრგვარად დახმარებია საზოგადოება და ამიტომაც მათ უფრო ჰმართებთ ეცადონ გადაუხადონ საზოგადოებას კეთილის საქმის მოწყობით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ტფილისის ქართველ საზოგა-

---

ფელეტონი

სიმღერა

მრავალმა ხმალი აგელა,
მრავალმა ჭკუა-გონება,
სხვამ თავ-მომწონედ იარა,
რომ დიდი ჰქონდა ქონება.
მწირმა უარჰყო სოფელი,
ირჩია სულით ცხონება,
მაინც ვერ ასცდა სიკვდილსა,
მოუნდა მიწის მონება.
სიკვდილისათვის ერთია
მდიდრის და საწყლის ცხოვრება.
სიკვდილის დათრგუნვას ვცდილობთ,
როს გვწადს სახელის პოვება.
მაგრამ მკვდრისათვის ერთია
ავი და კარგი დროება.
ამითი თავსა ვატყუებთ,
სხვა რომ არა გვაქვს შნოება.
თუმც კი არ არის ურიგო,
თუ კი უნარი გვექნება,
სიკვდილის შემდეგ თავისი
კარგი გავწიროთ ხსენება.
ამით ცოტად ვძლევთ სიკვდილსა,
იგია კუბოს შვენება.

გაჟა-ფშაველა.

⁂

ტურფავ, მახვილს ნუ ამალი,
დეე, ისევ გულში მესოს,
ნუ შეახებ მკერდს ნაზ ხელსა,
რომ უცებ არ დაიკვნესოს!
ფრთხილად, ტურფავ, თორემ ნაღველს
გადაუშლი ფართო ზღუდეს,
მე არა მსურს, კაეშანი
რომ ერთბაშად ამოდუღდეს!
მითხარ, ნაცვლად რაღა დამრჩეს,
ღრმა იარა დაბასრული?
ტურფავ, ტურფავ, ნუ მაწვდი ვარდს,
თუ გწამს წმინდა სიყვარული!
აჰა, შენ თვით განიცადე
მეგობრისა ჭირ-ვარამი,
იცი, მტრედო, როგორ მისცა
მას ცხოვრებამ თვის სალამი?!
შუბლს ნაოჭი, გულს ეკალი,
ნორჩი სახე მოღრუბლული
და ბრძოლისა ქარიშხალში
სიყვარული დამარხული!
არა, ტურფავ, მე სხვა ნანას
დამძახოდა ეს სოფელი,
და არ იყო სანავარდო
ჩემთვის მისი ტურფა ველი!
აწ შენ გინდა ცხოვრებისა
მახვილი გულს ამაცალო
და ისარი ჯავ-ბორკილათ
შავს თვალებით შემიცვალო!
მწარე ხუნდი ცხოვრებამა
ისეც ბევრი გამოჭედა,
ბევრი, ბევრი, მწარე ცრემლით
ცოცხლათ კუბოს ჩაახედა.
ნუ, ნუ ტურფავ, ნუ ამაცლი
ამ ჩემ მწარე ისარ-მახვილს,
ისევ ცრემლი მირჩევნიან
უდარდელად შემოძახილს!

ი. ევდოშვილი.

საშობაო ფანტაზია

— ხომ არ შეგაწუხა სისწრაფით ფრენამ?!—მზრუნველობით დამეკითხა ჩემი თანამგზავრი, და მისი დიდრონი, ნაზი თვალები მომაშტერდნენ.

— არა!.—ვუპასუხე მე და მაგრად მოვავლე მის ფერდებს ხელები, რომ უეცრივ არ გავსხლტოდი მის ხელებს, რომლებიც ოდნავ მეხებოდნენ ფერდებზედვე.

შიში შემატყო და ღიმილით მომმართა:

— ჩემთან ნურაფრისა გეშინიან. რა მოგშორდები, ვიდრემდის დედამიწაზე ისევ უვნებლად არ დაგიშვებ.

შემრცხვა, თვალები ძირს დავხარე და ხელების გაშვება დავაპირე.

— მთლად ნუ გამიშვებ, გევლოს ხელები, მაგრამ მაგრე ძაან კი ნუ მომიჭერ.—ნიავსავით ჩამჩურჩულა ყურში.

ვიგრძენ მისი სუნთქვის ნელი, საამური სითბო: მისი თმა ჩემ ლაწვს შეეხო. სიამოვნების ჟრუანტელმა ტანში დამირბინა და მოწიწებით შევხედე.

იმაზე უმშვენიერესი არა მინახავს რა ჩემ სიცოცხლეში. ბინდი გაფანტულიყო, რომელიც შეხვედრისათანავე აიმართა ჩვენ შუა და მიშლიდა გარკვევით ხილვას. პირველად მეყურებოდა ხმა, ვუმზერდი და ვხედავდი მარტო ტუჩების მოძრაობას; მოვისურვებდი თვალების დანახვას, ვხედავდი თვალებს. ხოლო ტუჩები კი მეკარგებოდნენ. ეხლა კი მის სახეს, მთელ მის ჰაეროვან თეთრი სამოსით სხეულს უტყუვრად, ნათლად ვხედადი და გული თანდათან განუსალღვრელ თაყვანისცემით და სიყვარულით მევსებოდა. მეკრძალებოდა მასთან ყოფნა, ვშიშობდი მის შეხებას, ვაი, თუ ჩემი ხელის შეხებით დაჩრდილულიყო.

— ხელი ნუ გამიშვი, ნუ!..—ტკბილად მითხრა და თავისკენ მიმიზიდა.

მისმა ხმამ გამაბედვინა და ორივე ხელები მოვავლე, ხოლოდ მაგრად კი არა, როგორც წინად; ისე,—როგორც ის ოდნავ მეხებოდა...

თან კი ზევით და ზევით აზრზედ უმალ, ელვაზე უსწრაფესად მივსრიალებდით. დიდი ხანია მთვარე ქვევით დავტოვეთ; ეხლა გარს გვეხვია ურიცხვი, სხვა და სხვა სიძლიერით მბჭყვინავი ვარსკვლავი. მაგრამ მე არა მაკვირვებდარა. საკვირველება ჩემ წინ იყო. კოჭებამდის ხშირი, გაშლილი თმა, რომელიც ხან ერთ მხარეს შემოგვერტყმოდა და ხან კიდევ მეორეს, წყვილი დიდრონი, ვარსკვლავზე უძლიერესად სხივთა მფრქვეველი და თან ნაზი თვალები მის სპეტაკ შუბლის ქვევით, მისი ბაგე, ყელ-ყური, მკერდი, რომელიც წაფერფლილი იყო ჰაეროვან თეთრი სამოსით მავიწყებდა ყოველივე ცის საკვირველებას; და მხოლოდ ერთიღა მქონდა სანანულად, რომ ჩემი გრძნობა არ შემეძლო გამომეხატა მოძრაობით, არ შემეძლო მის წინ დავცემულიყავ და მის ფერხთა მტვერს სრული გრძნობით ვმთხვევულიყავ.

„ვინ არის, ან რისთვის მოსულა ჩემთან?!“ მიტრიალებდა თავში ეს კითხვა და გამოთქმას კი ვერა ვბედავდი...

დოების ცდა უნაყოფოდ არ ჩაივლის და პროვინციაც მძლავრ ბანს მისცემს მას, თუ რიგიანად მოაწყო საჭირო ორგანიზაცია.

მაშ დავიწყოთ საქმე! როგორც გავიგეთ, რამდენიმე გულშემატკივართ განუზრახავთ ამ დღესასწაულებზე მოიწვიონ კრება. იმედი ვიქონიოთ, ჩვენი საზოგადოება მოინდომებს, რომ ეხლაც არ ჩაიფუშოს კეთილი განზრახვა,, რომლის განხორციელებას ამაოდ ელის არა ერთი და ორი თაობა ჩვენის მოსწავლე ახალგაზდობისა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

23 დეკემბერი

პეტერბურგი. 23 დეკემბერს ცარსკოე სელოში მოვიდა დიდი ჰერცოგი ჰესენ დარმშტადტისა მეუღლითურთ.

ლონდონი. გაზ. „ტაიმს“-ს პეკინიდან ატყობინებენ, რომ გერმანიაში გასაგზავნ მოსანანიებელ მისიაში შესაძლებელია ამორჩეულ იქმნას ერთი დიდი მთავრების გვართა მეთაურთაგანი, პრინცი ღლუ, რომელიც თვისი ხარისხით პრინც ცინზე უფროსია; ეს არჩევა მოსახერხებლად მიაჩნიათ.

კრადოკი. პოლკოვნიკმა ვილიამსმა 19 დეკემბერს იერიში მიიტანა ბურების მძლავრ პოზიციაზედ, რომელიც მილდებურგიდან დასავლეთით რამდენიმე მილის სიშორეზედ მაღლობებზე მდებარეობდა, მაგრამ მას ძალა არ შესწევდა განედევნა მტერი პოზიციიდან. ინგლისელებს დაუჭრეს 5; მტერმა ღამით უკან დაიხია და გაემართა ბეტეზდესაკენ.

ლონდონი. ბეირიდან იტყობინებიან, რომ იქ მისულა გემი „ჰერცოგი“ 136 სამალისებითა და აბესინელებით როდეზიის მაღნებში სამუშაოდ. გემის მოხელეებს უთქვამთ ამ მუშებისათვის, რომ თქვენ მუშაობის დროს შებორკილნი უნდა იყოთო, რის გამოც მათ უარი განუცხადებიათ ნაპირზე გადმოსვლისა. მაშინ ზედამხედველს მოუწვევია პორტუგალიის ორი პოლიციის მოხელე წინააღმდეგობის დამწყებ მეთაურთა შესაპყრობად. მეამბოხენი გაუძალიანდნენ პოლიციელებს. პოლიციის ძლიერი რაზმი, რომელთაც აგრეთვე შეუერთდნენ პორტუგალიის ჯარის-კაცები, ზოგიერთ მგზავრების დახმარებით ჩაერივნენ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ხელჩართულ ჩხუბში, ომელთაც ბარიკადა გააკეთეს. პორრტუგალელებმა მხოლოდ რამდენიმე საათით გაგრძელებულ ბრძოლის შემდეგ შეიძლეს აჯანყებულთა დაძლევა. ერთი სომალიელი მოკლულია, ოც და ექვსი დაჭრილი, ორმოც და ათი კაცი გემზე დარჩა, ხოლო დანარჩენი გადაცვივნდნენ ზღვაში; 9 პოლიციელი დაჭრილია.

ლონდონი კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან 22 დეკემბრის რიცხვით, რომ ბურების დასავლეთის რაზმი, როგორც სჩანს, გაემართა კოლვინიისაკენო, აღმოსავლეთის ჯარები კიდევ დაიყო რამდენსამე პატარა ჯგუფად. გუშინ კიდევ მცირე რაზმი ბურებისა გადავიდა ორანჟეს მდინარეზე ალივალნორტს დასავლეთით. ბურები გამოჩნდნენ რკინის გზის ლიანდაგის ახლო რენოსტერთან, მაგრამ საეჭვოა, რომ დევეტი მათთან იყვეს.

კაპშტადტი. უკვე რამდენიმე დღეა, რაც კაპის მრავალი ჰოლანდიელნი წავიდნენ კაპის დასავლეთ ახალშენიდან ჩრდილოეთისაკენ, უეჭველია, იმ მიზნით, რომ შეუერთდნენ ახალშენში შესეულ ბურებს.

გააგა. კრიუგერის ავადმყოფობა ნორმალურად მომდინარეობს, თუმცა მოხუცი უჩივის სისუსტეს.

ლონდონი. გაზეთებს ატყობინებენ ვაშინგტონიდან — კონჯერმა დეპეშით აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ საზღაურის შესახებ საკითხში ელჩები ვერ შეთანხმდნენ და ამისთვის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამართა მოლაპარაკება სახელმწიფოთა კაბინეტებთან.

პარიზი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ სახელმწიფოთა ელჩებმა მოსთხოვეს ცინსა და ლიხუნჩაგს ხელი მოაწერონ სახელმწიფოთა საერთო ნოტაზედ, რომლის თითო ცალი უნდა გაეგზავნოს ყველა საელჩოებს; ნოტა, რომელიც საიმპერატორო ღერბით უნდა იქმნეს დაბეჭდილი, ხელ-წერილ ქვეშ უნდა იქმნეს ჩაბარებული. ელჩებმა გამოაცხადეს, რომ ცინი და ლიხუნჩანგი განმარტებას მიიღებენ მხოლოდ მის შემდეგ, როცა იგინი აასრულებენ აღნიშნულ ფორმალურს მოთხოვნილებას, რომელიც პირობებს შეურყეველს ხასიათს აძლევს და რომელსაც ყოველს მსჯელობის გარეშე აყენებს. ის საკითხები, რომლებზედაც განმარტებას ითხოვენ, წერილებით უნდა იქმნეს ჩამოთვლილი, ხოლო პასუხებს მიიღებენ სიტყვიერად იმ სხდომებზედ, რომელზედაც მოწვეულ იქმნებიან ელჩებისაგან აგრეთვე ლიხუნჩანგი და ცინიც.

ვეიმარი. დიდი ჰერცოგი გარდაიცვალა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ინგლისის პრესსა ამ ბოლოს დროს ხმებს ავრცელებდა, ვითომ პრეზიდენტი კრიუგერი მზად იყო დაემორჩილებოდა ინგლისის ყველა მოთხოვნილებას და მხოლოდ ბურების ბოლონდელმა გამარჯვებამ ისევ გაამხნევეს მოხუცი პრეზიდენტიო. პარიზის გაზეთ «ტან»-ის სიტყვით, კრიუგერის მახლობელნი პირნი ბეჯით პროტესტს აცხადებენ ამ ხმების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ მარსელში მოსვლის დროს, კრიუგერმა გადაწყვეტით გამოაცხადა, რომ ბურები არ აიღებენ ბრძოლაზედ ხელს, ვიდრე პირში სული უდგათო. მას შემდეგ პრეზიდენტს სრულებით არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება და ყოველთვის აცხადებდა, რომ ერთად ერთი შესაძლებელი პირობა ინგლისთან ზავისა— არის სრული დამოუკიდებლობა სამხრეთ აფრიკის ორივე რესპუბლიკისა. კაპლანდიიდან და ტრანსვაალიდან ბოლოს დროს მოსულმა ცნობებმა უფრო გაუმაგრეს პრეზიდენტს იმედები. კრიუგერის მახლობელნი ამტკიცებენ, რომ რუსეთმაც მეტის-მეტად მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა მოხუცს პრეზიდენტსაო.

※ «პარი ნუველის» კორესპონდენტი ამბობს, რომ კაპის ახალშენში ბურების გადასვლა შემთხვევითი საქციელი არ არის რამდენიმე თავზე ხელაღებული ბურისა. არა, ეს გადასვლა წინადვე იყო მოსაზრებული ეხლა ინგლისელები იმასა ცდილობენ, რომ როგორმე გზა მოუჭრან ამ შემოსეულს ბურებს და დაამარცხონ იმათი რაზმები ცალ-ცალკე, თითო-თითოდ. ინგლისელებს დიდი იმედები აქვთ ამ მხრივ მომავალი წყალდიდობისა, რომელიც უკან დახევის გზას მოუსპობს ბურებს.

※ «ტანა»-ის სიტყვით, კიტჩენერის ჩრდილოეთში წასვლა სრულებითაც არა ჰნიშნავს იმას, რომ სამხრეთში ყველაფერი მშვიდობიანად იყოს. კიტჩენერმა სამხრეთში მხოლოდ ის ღონისძიება მიიღო, რომ მოაწყო ერთი პოლკი ველოსიპედისტებისა, რომელთაც უნდა კაპის ახალშენის გზები დაიცვან. არა გვგონია, რომ ეს ღონისძიება საკმაო იყოს. ჯერ კიდევ ამ დღეებში ინგლისური ოფიციალური დეპეშები იტყობინებოდნენ, რომ ბურებმა უბრძოლველად დასტოვეს ბრიტსტოუნი, მაგრამ სხვა უფრო სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბურებმა ტყვედ წაიყვანეს იომანრის მთელი ბატალიონი, რომელიც ბრიტსტოუნიდან წასულ ბურებს სდევნიდათ.

※ ინგლისური გაზეთები აბრალებენ ლორდ რობერტს, ვითომ იმან სამხრეთ-აფრიკის ომი უკვე დასრულებულად გამოაცხადა და ნამდვილად კი ეს ომი ეხლა უფრო გამწვავდაო. ეხლა «დეილი მაილის» კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ამის შესახებ რობერტსთან და მისის მინდობილობით აცხადებს, რომ ლორდ რობერტს თავის დღეში არსად უთქვამს, ვითომ სამხრეთ-აფრიკის ომი გათავებულიყოს. მას მხოლოდ გათავებულად მიაჩნია ომი ბურების წესიერ მოწყობილ ჯართან; რაც შეეხება პარტიზანულ ომს, ის ეხლაც არის და კიდევ დიდხანს იქნება და რობერტსმა სხვებზე კარგად იცის, რა საშიში და მძიმე ამნაირი ომი.

※ ვენიდან დეპეშით სწერენ ერთ რუსულ გაზეთს:

«ვერაფერი ბედნიერი დღეები დაუდგა ავსტრიას. ხალხი ძალიან ცუდ გუნებაზე არის. თვით «ნეუ ფრეიე-პრესსე»-ც აშკარად აცხადებს, რომ პარლამენტარიზმმა სწორედ სასოება დაუკარგა ხალხსაო. არჩევნების შედეგებმა დაამტკიცეს, რომ ხალხმა პარლამენტში აირჩია უკიდურესი ნაციონალისტები. გასაოცარია სოციალ-დემოკრატების დამარცხება. ცხადია, რომ, ამომრჩევლების აზრით, ვიდრე სხვა უფრო საჭირო ეროვნული კითხვები არ გადაწყვეტილა, უადგილოა სოციალური საკითხების გადაწყვეტა. საზოგადოდ ყველასა ჰსურთ, რომ რამენაირად მალე გათავდეს ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა. იმპერატორი ფრანც-იოსებიც, როგორც «ნეუ ვიენერ ჟურნალი» იუწყება, დარწმუნდა, რომ საჭიროა რაიმე ძლიერი ღონისძიება მოიხმაროს და ბოლო მოუღოს ავსტრიის გამუდმებულ სენს— ობსტრუქციას. თუ ახალი პარლამენტი ისევ წინანდებურად ამ ავის სენით შეპყრობილი გამოდგა, ჰფიქრობენ, რომ იმპერატორი რაიმე უფრო მარგებელს წამალს იხმარს, სინამ აქამდე ხმარობდნენ. იმპერატორი ამ ჟამად ეძებს ისეთ «რკინის კაცს», რომელმაც იცოდეს კიდეც ეს წამალი და ავსტრიის სენის განკურნებაც მოახერხოს. ჰგონიათ, რომ ეს უებარი წამალი იქნება — არჩევნის საყოველთაო უფლება

※ ამ დღეებში დაუდალავმა როშფორმა თავის გაზეთ «ინტრანსიჟან»-ში გამოაცხადა ახა-

— ცოტა კიდევ მოითმინე და ყველაფერს შეიტყობ;

— შენთან, ჩემო ღვთაებავ, თუნდაც საუკუნეს დავყობ!..—უნებურად წამოვიძახე და ლმობიერად თვალები მივაპყარ.

ჩემს სიტყვებზედ ბაგე ღიმად გაეპო და გამოუჩნდა მარგალიტისებრ ჩამწკრივებული მოელვარე კბილები. თავი უკან გადახარა, თვალები მაღლა აღაპყრო და საშინელის სისწრაფით ამიტაცა ზევით.

გამიგონია: ვარსკვლავი რომ მოსწყდება, საშინელის სისწრაფით დაეშვება, რის გამოც ცხელდება, დნება და თითქმის ორთქლად იბნევა სივრცეში.

შემეშინდა. მეგონა, მეც ვარსკვლავის დღე დამადგებოდა. მაგრამ უვნებელი დავრჩი და...

— ეხლა კი აქ შევდგეთ, და თვალ-ყური ადევნე,—უეცრივ შედგა ჩემი თანამგზავრი და სწრაფად გვერდში ამომიყენა.

მარჯვენა ხელი ზურგზე გადამავლო და მარჯვენა გვერდზედ შემომირკალა. მეც მაგრევე მოვიქეცი, მხოლოდ მარცხენა ხელით...

— მე ნულარ შემომცქერი, თორემ ველარაფერს ჰნახავ!—ღიმილით მითხრა და მანიშნა, რომ პირდაპირ მეცქირნა.

შემომესმა გაურკვეველი ხმაურობა. ჩემ თვალ-წინ აირია ტყე, მინდორი, ველი, მდინარე, მთელი ქალაქები. ყოველივე ეს ზევით მისრიალებდა. .

— ეს რას ჰნიშნავს?!—ველარ მოვითმინე და დავეკითხე.

— რატომ გაიკვირვე?!. აქ გასაკვირველი არა არის რა, ამ ღამეს ჩვენ დედამიწას მოვშორდით. ჩვენ ეხლა დედამიწიდან ძალიან დაშორებული ვართ... აი, ამ გარემოებასაც მიაქციე ყურადღება და მერე მეტყვი. წეღან ქალაქები მზის სხივებით იყო გაბრწყინებული. ეხლა კი, აგერ, უკანასკნელი სხივი იმალება, მოსაღამოვდა ქალაქში...ხომ ჰხედავ?..

— ვხედავ, ვხედავ!.. აგერ ცეცხლებიც აენთო. სახლებიდან შუქი ოდნავ გამოკრთის... ეს უფრო მაკვირვებს..

— ეხლა ყური დამიგდე: დედამიწის ყოველი კუთხე, მის მცხოვრებით და ხმაურობით ყოველ წამს იხატება სივრცეში და საუკუნოდ მოძრაობს. ჩვენ რომ უფრო ზევით ავსულიყავით, მაშინ დედამიწის დასაბამს ვიხილავდით...

— ავიდეთ, ავიდეთ ზევით!..—სიტყვა აღარ დავათავებინე და შევემუდარე.

— არა. ეხლა სხვა განზრახვით წამოგიყვანე აქ. მერე როდისმე გაჩვენებ მაგასაც. ეხლა კი ..სსს!.. ყური დაუგდე. ქვევით, ქვევით... ამ წყვდიადში განათებულ ადგილს მიაქციე ყურადღება...სსს!..

სმენად და მხედველობად გარდვიქეცი. ჩვენ ქვევით, კარგად ქვევით წყვდიადით მოცულ არეში პატარა ადგილი იყო გაბრწყინვებული, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა და ირკვევოდა. ტკბილი, ნაზი, ჩემგან არას დროს არ გაგონილი ხმები ჯერ ოდნავ შემომესმა და ჩქარა სურათი მთლად გამოირკვა: ანგელოზთა გუნდი გალობდა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, დ̃ ქვეყანასაზედა მშვიდობა, დ̃ კაცთა შორის სათნოება“ *.) განცვიფრებული მეცხვარეები მუხლ-მოდრეკილები იყვნენ და ხელები ანგელოზთა გუნდისკენ გაეპყრათ. მეცხვარეებზე არა ნაკლებ განცვიფრებული ცხვარიც გაშტერებით უმზერდა ამ სურათს. გამიტაცა ამ სურათმა და, ვიდრემდის სულ არ მიიმალა და სრულებით არ შესწყდა ის ხმა ტკბილი, არ ამომისუნთქავს.

— გმადლობ, გმადლობ, რომ ღირსი გამხადე ამ სურათის ხილვისა!!.—აღგზნებით წამოვიძახე და მარცხენა ხელზე მხურვალედ ვემთხვიე.

— ყრმა-ქრისტესაც გაჩვენებ, ცოტათი კი მოვიცადოთ.

— ნუ თუ ქრისტეს ხილვის ღირსიც გავხდები?!

— ქრისტეს ბაგაში მწოლარეს აქედან ვერ ვნახავთ, რადგანაც ფარეხი ჯერ ახდილი არ არის. რაც ოთახებში ხდება, ის უხილავია, თუ შიგ არ შევედით.

— განა ფარეხში შეიძლება?!.

— როგორ არ შეიძლება!.. აი, მეცხვარეებს მივყვეთ. ცოტა ჩვენც მოძრაობა მოგვინდება...

მიდიოდნენ მეცხვარეები და ჩვენც მივდევდით. ჩქარა ფარეხში შევედით მეცხვარეებთან ერთად და..

ბაგაში მისვენებული ბავშვი, მის გვერდით იოლიით ბაგაზე დაყრდნობილი და გვერდზე წამოწოლილი ახალგაზდა ქალი წარმოუდგა ჩემ თვალებს. წინადვე რომ არ მცოდნოდა მათი ვინაობა, მაინც გამოვიცნობდი, თუ იგინი ვინ იქნებოდნენ, ისე არა ქვეყნიური ბრწყინვალება, მშვიდობა და სათნოება იხატებოდა ორსავეს სახეზე. მთლად სიხარულად გაბრწყინვებული დედა მიშტერებოდა ყრმა ქრისტეს.

შემაყენა ჩემმა თანამგზავრმა, და ფარეხმა აიარა წმიდანებით...

— ეხლა დასავლეთისკენ წავიდეთ, სხვა სურათებიც მსურს გაჩვენო.—სთქვა თუ არა, მომწყვიტა სივრციდან, დ̃ ისარზე უმალ დასავლეთისაკენ გავსრიალდით...

„მშვიდობა და სათნოება კაცთა შორის!..“—წამოვიღიღინე ამ დროს ჩემთვის.

— განა, საუცხოვო რამ იყო მათი ხმა?!.

— ქვეყნიური არა იყო-რა!

— მართალს ამბობ: ქვეყნიური არა იყორა. მას შემდეგ რამდენმა წელიწადმა გაიარა?—უეცრივ დამეკითხა ჩემი თანამგზავრი.

— რის შემდეგ?

— რის შემდეგ და ქრისტეს შობისა, რომლის შობის ღამესაც პირველად გაისმა ქვეყანაზედ: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება».

— ათას ცხრაასი.

— ათას ცხრაასმა წელიწადმა... მაგრამ აქ შევდგეთ, თორემ სურათი გამოგვეპარება! თვალ-ყური გეჭიროს. საცაა...

— რა ჩირაღდნები მოჩანს?!—განცვიფრებით დავეკითხე, როდესაც ქვევით თვალი მოვჰკარ გაჩირაღდნებულს დიდს სივრცეს.

---

*) სახარება ლუკასი, თავი მე-II, მუხლი 14.

ბიბლიოთეკა

ლი ფაქტები დრეიფუსის საქმის შესახებ. იგი არწმუნებს, რომ დრეიფუსის საქმის ბორდერო თავისი კომენტარიებით გაგზავნილი იყო ბერლინში, სადაც იმპერატორმა ვილჰელმმა პირადად განიხილა ეს დოკუმენტი და საკუთარის ხელით შენიშვნება გაუკეთა. შემდეგ ბორდერო ხელახლავ გაიგზავნა პარიზში გერმანიის აგენტი შვარცკოპენის სახელობაზედ. ეს ძვირფასი დოკუმენტი ხელში ჩაუვარდათ საფრანგეთის ჯაშუშებს, რომელთაც გადასცეს ის მთავარს შტაბს. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ქაღალდზედ, რომელიც თვით იმპერატორს მიემატებინა ბორდეროსათვის, იყო დაწერილი დრეიფუსის გვარი. აი სწორედ ამ საბუთით იყო გამტყუნებული დრეიფუსი. ამ ჟამად ნამდვილი პირი ამ საინტერესო დოკუმენტისა გერმანიის მთავრობის ხელშია; მაგრამ ფოტოგრაფიული სურათი გადიღეს მისი, და როშფორი არწმუნებს, რომ ეს სურათი მას საკუთარის თვალით უნახავს.

ერთი პარიზის გაზეთი იუწყება, რომ როშფორმა არზა მისცა იუსტიციის მინისტრს და თხოულობს, რომ გამოძიება დაინიშნოს მისგან გამოცხადებულ ფაქტების თაობაზედ.

ახალი ამბავი

◆ შაბათს, 23 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მოსწავლეების ინიციატივით გამართული იყო შინაურული „საღამო“, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი თ. დ. ზ. მელიქიშვილი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს კომ. „ადვოკატი მელამე“, წაიკითხეს ქართულ-რუსული ლექსები, დაუკრეს სხვა-და-სხვა საკრავებზედ და იმღერეს ქართულად და რუსულადაც. დასასრულს გაიმართა ცეკვა. „საღამო“ მხიარული იყო, მოსწავლეებმა და მათმა სტუმრებმა გულ-წრფელად ისიამოვნეს.

◆ 6 იანვარს გაიმართება ჩვეულებრივი ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბალის დიასახლისად და გამგედ იქნება ჩვენი დიდად პატივცემული საზოგადო მოღვაწე ქნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

◆ სახალხო წარმოდგენების მმართავი სექცია ამ დღესასწაულებზე ჰმართავს სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, შემდეგ გასართობებს: 1) 27 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „მტერმოყვარე ძმები“ ერკმან-შატრიანისა, თარგ. ა. ცაგარლისა; 2) 30 დეკემბერს გაიმართება სამუსიკო და სასიმღერო საღამო; 3) 1 იანვარს, დილით, გაიმართება წარმოდგენა ბავშვებისათვის; წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი საბავშვო კომედია, რუსულიდამ გადმოთარგმნილი; 4) 3 იანვარს — წარმოგენილი იქმნება კომედია ცაგარლისა „ციმბირელი“ და 5) 7 იანვარს — დაიდგმება კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ნაჩვენები იქნება ზუნდოვანი სურათები.

◆ შემდეგი კრება ტფილისის საბჭოსი მოხდება ორშაბათს, 8 იანვარს.

◆ როგორც გავიგეთ, მარსელში ამ ჟამად აბრეშუმის ხმელ პარკს მცირე ფასი აქვს, რაიც სამწუხაროა, რადგანაც ჩვენებური ამხანაგობების პარკები იქ არის გაგზავნილი.

◆ რადგანაც აღმოჩნდა, რომ აქამდე გრენის რკინის გზით გადატან-გადმოტანა ცუდ პირობებში ხდებოდა, მეაბრეშუმეთა პირველმა კრებამ დაადგინა სთხოვონ რკინის გზის მმართველობას, რათა გრენი გადაიტან-გადმოიტანონ განსაკუთრებულ ვაგონებით, სადაც სუფთა ჰაერი უნდა იყოს, და, გარდა ამისა, საჭიროა გრენა გზაში არ გაჩერდეს.

◆ ახალმა სამრეწველო კამპანიამ, რომელსაც თავობს პრუსიელი გელლერტი, იჯარით აიღო 56 დესიატინა მარგანეციანი მიწა სოფ. ითხვისთან. ამავე სოფელში ბ. იაკოვლევმა იჯარით აიღო 100 დესიატინა მადნიანი მიწა.

◆ როგორც ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, წელს ბამბაზე მეტად დიდი ფასები სდგას კავკასიისა და რუსეთის ბაზრებზე. ერთი ფუთი ბამბა შარშან ისყიდებოდა 8 მან. (გარჩეულ), წელს კი 13—14 მან. ადის. მიზეზად ფასების გადიდებისა, ერთის მხრივ, სთვლიან ჩინეთთან ომს, საიდგანაც აუარებელი ბამბა შემოჰქონდათ რუსეთში და მეორეს — შემოტანილ ბამბაზე ბაჟის გადიდება, სამწუხაროდ წელს ჩვენში ძლიერ ცოტა მოსავალი იყო ბამბისა და მწარმოებლები ბევრად ვერ ისარგებლებენ წრევანდელ დიდ ფასებით.

◆ ტეხნიკური ექსპერტიზა იმ ექსპონატებისა, რომლებიც წარდგენილი იყო ქუთაისის, სამტრედიის, ზუგდიდის, ნაგომრის და ოზურგეთის კონკურსებზე, უკვე დაუმთავრებია საბრეშუმო სადგურს და ამ მოკლე ხანში საბაღოსნო საზოგადოება გაზეთების საშუალებით აუწყებს ექსპონენტებს ექსპერტიზის შედეგს.

◆ სახაზინო პალატას წინადადება მიუცია ყველა ხარჯის ამკრებ ინსპექტორებისათვის, რათა შეამოწმონ ტფილისის გუბერნიის ვაჭრობის საქმე. ეს შემოწმება უნდა დასრულდეს მომავალ წლის პირველ აგვისტოსათვის.

◆ მიმდინარე წლის 28 დეკემბრისათვის დანიშნულია კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა და იმ ტეხნიკ ხმოსანთა, რომელთაც მინდობილი აქვთ განხილვა ძმთა არზუმანოვების განცხადებისა რიყის ქუჩაზედ ციციანოვის კლდეზედ ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვან მაშინის მოწყობის შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ტფილისის გიმნასტიურ საზოგადოების წესდება. საზოგადოების მიზანია, როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, საგიმნასტიკო საქმის ტეორეტიული და პრაქტიკული შესწავლა.

◆ რადგანაც მომავალ 1901 წლიდან კავკასიაში სასმელების მონოპოლია იქნება შემოღებული, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს გაადიდოს სააქციზო დაწესებულებანი კავკასიაში.

◆ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს შაურიანი სპილენძის ფული აღარ იქნეს ხმარებაში სიდიდისა და სიმძიმის გამო.

◆ სადგურ დარკვეთის ახლო მარგანეცის მრეწველთა საბჭოს გაჰყავს ახალი გზა სოფ. ითხვისის მადნებისაკენ; 10 დეკემბერს, ნაღმის აფეთქების დროს, ზევიდან წამოვიდა დიდი ქვა და ქვეშ მოიტანა ონისიმე მეგრელიშვილი, სოფ. ითხვისის მცხოვრები, რომელმაც მაშინათვე სული განუტევა.

◆ გუშინ, 24 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა კუზმინის სახლებს. ცეცხლი, როგორც სთქვეს, კუზმინის სახლს გასჩენია ინჟენერ ბუტკევიჩის სახლის სამზარეულოს ბუხრიდან; კუზმინის სახლებში სწორედ იმ ადგილს, საიდანაც ბუტკევიჩის სამზარეულოს ბუხრებია ამოყვანილი, შენახული ყოფილა თივა, სადაც, როგორც ჰგონებენ, უნდა ჩავარდნილიყოს ნაპერწკალი და იქიდან მოსდებოდეს სახლს ცეცხლი. ცეცხლი კარგა ძალზე მოდებული ჰქონდა სახლს, რომ გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელიც თვით პოლიცმეისტრის ბ-ნ კოვალიოვის ხელმძღვანელობით შეუდგა ცეცხლის ქრობას და ერთი საათის განმავლობაში კიდეც ჩააქრეს. ზარალი ჯერ არ გამოურკვევიათ. ცეცხლის ქრობის დროს ცოტას გარდა უბედურება არ მოხდა: სახლის სახურავიდან უცაბედად გადმოვარდა ცეცხლის მქრობელ რაზმის ოთხი სალდათი, სამი უვნებლად გადარჩა, ხოლო ერთი ცოტათი დაშავდა; დაშავებული მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ მოგვივიდა მე-12 № საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით: 1) „სურათი“, ლექსი დუტუ მეგრელისა; 2) „მიტოვებულნი“, (ვიქტორ ჰიუგოსი), თარგმანი ან. წ.—სა; 3) „მოსწავლეთა შუამდგომლობა“ (დასასრული), ს. ციციშვილისა; 4) „პატარა ნებიერი“ (ამბავი), ან. ერისთავი-ხოშტარიასი; 5) „კოდალა“ (ამბავი) თ. რაზიკაშვილისა; 5) „გულმა გული იცნო“ (რუსულიდან), ან. წერეთლისა; 7) „მეფე მიდასს ლორის ყურები გამობმია! (ოვიდიუსიდან) ა. ყუმისთაველისა; 8) „პატარა მკითხველების წერილები“; 9) „წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ჩქარა გამოსათქმელი, ანაგრამა, რებუსი“ და სხვა“ 10) „სარჩევი 1900 წლის ჟურნალ «ჯეჯილისა»“ და 11) განცხადებები.

◆ შაბათს, 23 დეკემბერს, ტფილისის სადგურზე, როდესაც დაბრუნდა სახალხო მატარებელი № 6 ერთ პასაჟირთაგან ბ-ნ ეფიმოვისათვის მოუპარავს ვიღაც ბოროტ გამზრახველს მომგებიანი ბილეთები პირველი სესხისა № $^{1998}/_{48}$, მეორე სესხისა $^{5751}/_{48}$ და სათავად აზნაურო ბანკისა № $^{7527}/_{19}$. ორი რენტის ბილეთი ათას ათას მანეთიანი და სხვა ქაღალდები სულ 300 მანეთისა.

◆ ამა წლის 19 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა, როგორც მოხსენებული გვქონდა, ტფილისის ოლქის განაჩენზე საოპელაციო საჩივარი ტფილისის მცხოვრების ვანო ეგორას ძის ათუაშძილისა, რომელსაც თედოროვის გატარცვისათვის ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა ყოველივე უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და 4 წლით კატორღაში გაგზავნა. როდესაც პალატას ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაუმტკიცებ

— ეხლავ შევიტყობ.

თვალი აღარ მომიშორებია. თან-და-თან დაგვიახლოვდა გაჩირაღდნებული სივრცე: უზარმაზარი ბაღი, უზარმაზარი ქალაქი თავის მცხოვრებით თვალ-წინ გადაგვეჭიმა; საშინელი გმინვა, კვნესა ჩვენს ყურს შემოესმა. ბაღის ყოველ ხეზე იყო ადამიანი მიკრული და ცეცხლი ეკიდათ. საზარელმა სურათმა, ცეცხლ-მოკიდებულთა გმინვამ — სუნთქვა შემიხუთა.

ვეღარ გავუძელ ამ სურათს, საზარლად წამოვიკვნესე და თვალები დავხუჭე, რომ აღარ დამენახა.

— აქ რად მომიყვანე, რადა მსჯი?!..

— თვალი გაახილე და აი ჩვენკენ რომ ხე არის, იქით გაიხედე...

ვეღარ მოვითმინე, თვალები გავახილე და უეცრივ დავინახე სალამურის ამარა, თმაგაშლილი უმშვენიერესი ქალ-წული, რომელსაც მუხლი მოედრიკა და სასოებით ლოცულობდა. ცოცხალ ჩირაღდნების შუქზედ მკაფიოდ გამოკრთოდა მისი ნაზი სახე, ცრემლით დაღარული ღაწვები და მკაფიოდვე შემომესმა მისი ტკბილი ხმა: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება». ჯერ სულ არ მიმწყდარიყო მისი ხმა, რომ უეცრად მახვილმა იელვა და ქალწულს გულში დაესო. წამიც და მის მკერდიდან გადმოსჩქეფა სისხლმა.

გაშმაგებულმა წინ წავიწიე, მინდოდა რომ ქალწულის მკვლელი დამეღრჩო, გამესრისა, მაგრამ ჩემი თანამგზავრის სიტყვებმა შემაყენა:

— აჩრდილს ნუ ებრძვი!.. პირველ საუკუნეებში სტანჯავდნენ მაგრე ქრისტიანებს; მაგნაირ უსამართლოებას სჩადიოდნენ რომაელნი, რომელთა განათლების სახელიც მთელს ქვეყანაზე იყო მოფენილი. განათლებული რომი სიმშვიდეს და სათნოებას სდევნიდა.

— მერე?..

— მერე აქით წავიდეთ! — მანიშნა აღმოსავლეთზე და უეცრივ ისევ მომწყვიტა.

გავსრიალდით სივრცეში და თან დაბლა ვეშვებოდით. ჯერ ისევ რომის ქრისტიანების წივილ-კივილი მედგა ყურებში, ჯერ — ისევ გულ-გაპობილი ქალ-წული მედგა თვალ-წინ, ჯერ ვერ გამოვრკვეულიყავი, რომ შემომესმა გულის გამგმირავი ყრმათა წივილი, სასოწარკვეთილი კივილი, ხარხარი და ცხენთა ჭიხვინი...

— აბა, ახლა ეს ნახე. — მითხრა და გამაჩერა.

უმშვენიერესი მთა და მინდორი, ტყე და ველი თავის ნაკადულებით, აქა-იქა გაფანტული სოფლები და ქალაქები ცეცხლს შეეპყრო. სანახაობა გვიახლოვდებოდა, კვნესა და გმინვა უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

— რა დაგიშავე, რა, რომ საქაოსვე ჯოჯოხეთს მახილებინებ?!. — სასოწარკვეთილებით წამოვიკვნესე, როდესაც მკაფიოდ გავარჩიე.

— ეგ — თემურლანგი აოხრებს შენს სამშობლოს. ყრმათ...

— კმარა, კმარა! მომაშორე ამ სანახავს. წამოვიკვნესე და გავსწიე წასაყვანად ჩემი თანამგზავრი...

— კარგი! — მიპასუხა, და აღარ ვიცი, საით წამიყვანა.

თავბრუ მეხვევოდა. მივესვენე მის მკერდს და თვალებ დახუჭვილს საზარელი სურათი ვეღარ გამედევნა.

— განა, საზარლობაა?!. — დამეკითხა ნაზის ხმით.

— საზარლობა და მაგრე!..

— უარესი სურათები იყო წარსულში, უარესად სრესდენ, ადამიანი ადამიანს ანადგურებს და მუსრავს... მაგრამ ეგ ხომ თემურლანგი იყო. თემურლანგი კი სისხლის მსმელი ბარბაროსი იყო. მისგან მეტს ვერას მოითხოვდი.

— მხეცსაც კი აუტოკდებოდა გული, მასაც შეებრალებოდა უსუსურნი, და ის ხომ ადამიანი იყო!.. სსს!.. ეს რა გრიალია?!. ხომ არა ქუხს?!..

— არა, უთუოდ ისე შემოგესმა. მალლა აიხედე და გაგივლის.

— არა, არა, მაღლა ახედვაც არა მშველის. ისევ მეყურება გრიალი...

— ცოტა მოიცადე. მაგრე... მაგრე იყავ, მაგრე... მა... აბა ეხლა კი თავი დახარე და...

— ღმერთო! — წამოვიკივლე თავის დაბლა დახრის უმალ, რადგანაც ამ დროს მთელმა ქალაქმა იფეთქა და ზევით წამოვიდა.

მეგონა, ზედ გადმოგვეშლებოდა. ადამიანთა ნაფლეთები აქა იქა მისრიალობდნენ; უეცრივ ნანგრევებს და ჯერ დაუნგრევ შენობებს ცეცხლი მოედო და სწრაფად ჩააფერფლა.

— ეს ღა მაკლდა?!. — კანკალით წამოვიძახე: სად მომიყვანე?.. — კანკალითვე დავეკითხე.

— ეს განათლებული ერის სარდალი კიტჩენერი ბურების ქალაქს ანადგურებს.

— ესენი ხომ ქრისტიანები არიან და ყოველთვის „მშვიდობასა და კაცთა შორის სათნოებას“ ჰქადაგობენ?!. ინგლისელებს...

— გამშორდი, გამშორდი! — დავიკივლე და შევუტიე ჩემს თანამგზავრს.

— ნუ ჰკივი.....

— ნუთუ მშვიდობა და სათნოება კაცთა შორის ვერ გაიმარჯვებს? — სასო-წარკვეთილებით ძლივას შევეკითხე ჩემს თანამგზავრს; — მაშ ქრისტეს დაბადებამ და მისმა მცნებამ არა შეგვასწავლა-რა ამ ათას ცხრაასის წლის განმავლობაში?!

მწარის ღიმილით თავი ოდნავ გაარხია და შემდეგ უეცრივ მომმართა:

— ეხლა კი მშვიდობით იყავი! ჩვენ უკვე დავბრუნდით.

და თვისი განაჩენი გამოუცხადებია, ათუაშვილი გაანჩხლებულა და ჰალატისათვის შეუგინებია. შაბათს, 23 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ათუაშვილი და უკვე გადაწყვეტილ სასჯელს—4 წლით კატორღაში გაგზავნას—მიუმატა კიდევ ნახევარი წელიწადი.

◆ პოლიციის მე 10 ნაწილში 20 დეკემბერს გამოცხადებულა ტფილისის მცხოვრები ველიამინა ივანეს ასული პიტოლისა და გამოუცხადებია, რომ ვიღაც ბოროტ განმზრახველთ მის სახლიდან საღამოს 8 საათზე მოუპარავთ ველოსიპედი 90 მან. ღირებული. ქურდი აღმოჩენილა ტფილისის მოქალაქე ვიღაც იაკობ ვიკენტის ძე ნოვიცკი, რომელიც გამოტეხილა ქურდობაში და განუცხადებია, რომ ველოსიპედი მიუყიდე იავორსკის სამეხანიკო სახელოსნოს მოსამსახურეს ავეტიკ ასპედოვს 10 მანეთადაო. ველოსიპედი პოლიციამ ჩააბარა პატრონს, ხოლო დამნაშავენი ნოვიცკი და ასპედოვი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი

პროვინციაში

სოფ. მაჩხაანი (სიღნ. მაზრა). 3 დეკემბერს აქ მოხდა მაჩხაანის ღვინის საგანგებო კრება, რომელსაც დაესწრო ორმოცდა ათზე მეტი წევრი; ისინი, რომელნიც ბუქ ნაღარით გაიძახოდნენ, რომ ღვინომ მთელს მაზრაში მთლად ალაგმა ყველა მცარცვავი ვაჭრებიო, დღეს დარცხვენილნი მიჩუმებულან და ვეღარა უთქვამთ-რა სირცხვილით; იმათ, ვინც ყველას ეფიცებოდნენ ღვინის საქმე ძლიერ კარგად მიდისო, ეხლა პირში წყალი ჩაუგუბებიათ და ხმა ვეღარ ამოუღიათ, მხოლოდ ის, ვინც აურ-დაურია ეს საქმე, სიცილით გაიძახის «ღვინო მაშინ დაიღუპა, როდესაც მე დავანებე თავიო და სხვას ჩაუგდეს ხელშიო». ასე თუ ისე, დღეს ღვინის საქმე ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია და თუ მალე არ ეშველა, შეიძლება სულიც დალიოს.

უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარედ არჩეულ იყო ბ-ნი ნასიძე; თავმჯდომარემ საზოგადოებას მოახსენა, რომ უკანასკნელმა კრებამ აირჩია კომისია შემდეგ პირთაგან: დ. გ. ჩოლოყაშვილი, ნ. დ. ერისთავი, ექიმი ა. დიასამიძე, ს. ნ. ყაზახიშვილი და მღვდელი მათიკაშვილი და მიანდო მათ გარდაეწყვიტათ: 1) სასარგებლოა—თუ არა ხალხისთვის ეს დაწესებულება; 2) რა საშუალება იხმარონ, რომ საქმე უკეთ წავიდეს და 3) განაგრძონ ვაჭრობა—თუ მოსპონ ეს დაწესებულება. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა კომისიის დამსწრე წევრებს ბ ნ დიასამიძეს და ერისთავს და სთხოვა, მოეხსენებინათ კრებისთვის კომისიის მოსაზრებანი. კომისიის წევრმა ბ ნმა დიასამიძემ გრძელ სიტყვაში იხეთი სამწუხარო სურათი დაგვიხატა ღვინის მდგომარეობისა, რომ დამსწრე საზოგადოება სრულიად სასოწარკვეთილებას მიეცა. ბ. დიასამიძემ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ძველ გამგეთ ისე მიჰყავდათ საქმე, რომ ჩვენ კომისსიამ მთელი ერთი კვირა ვჩხრიკეთ დავთრები და სრულიად ვერა გავიგეთ რაო. დღესაც, არ იციან, რა აქვთ ვალი და რამდენია ნისიათ გაცემულიო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ კომისიამ დაინახა, რომ ღვინოს აქვს დიდი გავლენა მთელ ქიზიყის ხალხის ყოფა მდგომარეობაზეო; ამიტომ კომისსიამ დაადგინა ყოველივე ანგარიში ძველი ღვინოსი გასწორდეს, ესე იგი ყველა მოვალე გასტუმრებულ იქმნას და მხოლოდ მაშინ დაიწყონ ახალი საქმეა დიასამიძემ თავისი სიტყვა დაასრულა შემდეგით: «სარევიზიო კომისიას, რომელსაც ჯილდოც კი აქვს მიცემული შრომისათვის, ანგარიშებისთვის წაუკითხავათ უწერია ხელიო». ამ დროს ერთმა წამოიძახა: «გთხოვთ იცოდეთ, რომ მე წევრი არა ვარ სარევიზიო კომისიისაო». აქ კი კურიოზი მოხდა; ყველა წევრი სარევიზიო კომისიისა გაიძახოდა: «მე არა ვარ წევრი,—წევრი ესა და ეს არისო», ის კიდევ იძახდა, არა ბატონებო მე რად ვიქნებიო. აირია მონასტერი და საზოგადოებამ ვერ გაიგო, ვინ იყო სარევიზიო კომისიის წევრი და ვინ არა. ამ დროს გაიღო კარი და ერთი სარევიზიო კომისიის წევრთაგანი ძლიერ შეზარხოშებული შემობრძანდა კრებაზე და ბოხის ხმით დაიძახა: «მე მოველ, რომ გავიგო, რა გააკეთა ამორჩეულმა კომისიამაო». მაგრამ ცნობის მოყვარე შეზარხოშებული წევრი თავმჯდომარემ შეაჩერა. კრებამ აირჩია ექვსი კაცი და მიანდო მათ ყველა მოვალის გასტუმრება და ნისიების მოკრეფა. ყოველივე ეს კომისიამ უნდა შეასრულოს ერთ თვეზე და შემდეგ მოიწვიოს საზოგადო კრება გარდასაწყვეტათ იმისა, განაგრძონ—თუ არა ვაჭრობა. დასასრულ, კრებამ მადლობა გამოუცხადა როგორც მთელს კომისიას, აგრეთვე კერძოთ ბ. დიასამიძეს. ერთად ერთი სანუგეშო მოვლენა ამ კრებისა ის იყო, რომ ხალხი თითქმის ერთ ხმად გაიძახოდა: «ამ დაწესებულების მოსპობა არ შეიძლება, ფული გვთხოვეთ, მოგცემთ, მხოლოდ კაცები მოგვეცით, რომ საქმე აწარმოვონ».

ისევ ის.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციაში)

20 დეკემბერს „ცნობის ფურცელმა“ მეთაურ წერილში სათაურით: „სამწუხარო ამბავი“ თითქმის გამოსთქვა ის აზრი, რაც მე ამ დღეებში მინდოდა მკითხველებისათვის გამეზიარებინა და რაც 21 დეკემბერს გაიმეორა „ივერიამ“.

მე მხოლოდ იმაში არ ვეთანხმები „ცნობის ფურცლის“ წერილის ავტორს, ვითომ ისე საძნელო იყოს ჩვენთვის საკუთრად დაარსება სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოებისა, როგორც ავტორი ჰფიქრობს. თუ ჩვენ მეზობელ ერს აქვს ბაქოში „человѣколюб. общество“, ჩვენ, არა მგონია, გაგვიძნელდეს ამგვარივე საქმის გაჩარხვა. წინედ ტფ. ქართველ საზოგადოებასაც ჰსურდა ამგვარ საქველ-მოქმედო საზოგადოების დაარსება. როგორც მახსოვს, მაშინდელ კრებებზე პროექტიც კი შემუშავდა და მე მგონი მთავრობამდისაც მიაღწია. თუ არაფერი გამოვიდა, აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენ ალარაფერი გვეშველება, რადგანაც მაშინ საქმეს ნამდვილი გულ-შემატკივარი არ გაუჩნდა.

„წერა-კითხვის საზოგად.“ თავზე მოხვევა ამ საჩქარო საქმისა—მე შეუძლებლად მიმაჩნია, რადგანაც ხსენებულ საზოგადოების გამგეობას ისეც მრავალი საქმე აქვს. საზოგადოების წევრების ფულების წესიერად მოგროვებაც კი ვერ მოახერხეს, რაკი ყველას ჩვენ დავიწყებული გვაქვს ზნეობითი ვალი ყოვლად სიმპატიური საზოგადოების წინაშე.

ჩემის აზრით, გულშემატკივარნი დაუყოვნებლივ უნდა შევიკრიბნოთ ამ დიდი საქმისათვის. თუ მე არ ვცდები, და მართლა შესაძლებელია ცალკე საზოგადოების დაარსება სტუდენტთა დასახმარებლად, მაშინ კრებაზე ამოვირჩიოთ ცალკე კომისია, რომელსაც დავავალოთ—ენერგიით და გულმხურვალედ მოეკიდოს ამ საქმეს.

მაშ ვისარგებლოთ ამ კრებით და მოვისაზროთ რამე ამ ფრიად საჭირო საქმისათვის. საჭირო მასალაც გვექნება. „ივერია“ გვაცნობებს, რომ მარტო ორი სატახტო ქალაქის გარდა, ყველა ქართველი სტუდენტობისაგან საჭირო ცნობები მოსვლიათ პროექტის შესახებ. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა სიხარულით მიეგებება ამ საქმეს, რაკი ძალიან ხშირად გამიგონია ბევრისაგან: „ბატონო, ნეტავი გვეშველოს და ერთი რამე წრე არსებობდეს სტუდენტთა დასახმარებლად, გარდაგვახდევინეთ რამდენიც გსურდეთ, ოღონდ ამ ქალების ბილეთებით წანწალს გადაგვარჩინეთ“-ო.

მარიამ დემურია

პეტერბურგის ბირჟა 22 დეკემბერს.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მ ა ნ ა თ ი.		
4% სახელმწიფო რენტა.	—	—	$96\frac{1}{8}$
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	—	$99\frac{7}{8}$
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	95	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 864 წ.	—	—	$345\frac{1}{2}$
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	--	—	287
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	$216\frac{1}{2}$
$3\frac{1}{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	—	$87\frac{5}{8}$
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	—	$93\frac{3}{8}$
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	—	$86\frac{5}{8}$
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	$101\frac{1}{2}$	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	95	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	—	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	86	—

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

„ავლაბრისა“, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

„ქალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ციზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს 58 წ.

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

განცხადებანი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

ყოველთვიური ორგანო

გამოვა 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი-“ს რედაქციაში (Артиллер. ул, № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“. (3—3)

Открыта подписка на 1901 г.
на литературн., обществен. и политич. ежемѣсячн. армянскій журналъ

„МУРЧЪ“.

Составъ редакціи и постоянныхъ сотрудниковъ НОВЫЙ. Членами редакціи состоятъ гг. ЛЕОНЪ САРКИСЯНЪ И ЛЕО.

ПРОГРАММА: Беллетристика и поэзія; новости русской и иностранной литературы; критика и библіографія; хроника внутренней жизни: иностранное обозрѣніе; письма изъ-за границы: провинціальная жизнь; экономическіе вопросы; из области науки искуства и техники. Объявленія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ достав. въ Россіи и за границу:
на годъ . . . 10 рублей.
„ ½ года . . 6 „

Гг. подписчики благоволятъ обращаться съ требованіями о подпискѣ въ Тифлисъ, въ редакцію „МУРЧЪ“ (Эриванская площадь, д. В. Харазовой).

Редакція открыта отъ 10 час. утра до 2 час. дня; по воскреснымъ и праздничнымъ днямъ редакція закрыта.

Издатель и времен. редакторъ К. Красильниковъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Декабря 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბ. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.